**ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით**

**ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება** №3

**ქ. თბილისი** **10.02.2012 წ.**

1. ერთი მხრივ, **შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია** ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, **შპს „თეთრიწყარო ტრანსი"** წარმოდგენილი მიხეილ ავგროზაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის (ბენზინი რეგულარი- 91 , და დიზელი ლ-62) ნასყიდობა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის ბენზინს რეგულარი-91) 2300 ლიტრის, ხოლო დიზელი ლ-62 13000 ლიტრის ოდენობით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით ბენზინის რეგულარი-91 შემთხვევაში, მინუს 4 (ოთხი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით დიზელი ლ-62.
5. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიწოდებული საწვავის ღირებულება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აწაზღაურდება საწვავის ტალონების გადაცემის შესახებ მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 დღის ვადაში.

6. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინმსწრებად. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.
7. საწვავის სახელმწიფო შესყიდვახორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

8. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
9. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.
10. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

12.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| **მიმწოდებელი** | **შემსყიდველი** |
|---|---|
| **შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია**<br>იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის<br>რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136<br>ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ტ/ფ<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br><br>ანგარიშის # GE62BG0000000876831000<br>ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ტ/ფ<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ანგარიში # GE05TB7538836020100001 | **შპს თეთრიწყარო ტრანსი**<br>იურიდიული მისამართი: თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ., №34<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 230869860<br>ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი : LBRTGE22<br>ანგარიშის # GE58LB0113198603411000 |
| გამყიდველის სახელით,<br>ს. ჯიმშიაშვილი | მყიდველის სახელით,<br>მ. ავგოზაშვილი |